

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ტენდერს სამშენებლო სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის დაფინანსების წყარო: ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.
2. შესყიდვის ობიექტებია:
 - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის I სასწავლო კორპუსი, მისამართი: ქ.თბილისი, 0186 ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქ.№9.
 - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის II სასწავლო კორპუსი, მისამართი: ქ.თბილისი, 0186 ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქ.№12. სამუშაოების კონკრეტული ჩამონათვალი მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

შესყიდვის საგარაუდო ღირებულება: 430000.00 ლარი.

3. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 2010 წლის 1 დეკემბრამდე;

ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

4. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის სატენდერო კომისიის აპარატში წარმოდგენის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2010 წლის 15 ივლისის 10 საათიდან 3 აგვისტოს 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქ.№9 II სართული, ოთახი №215, სატენდერო კომისიის აპარატი.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: სს ბანკი „რესპუბლიკა“ ც/ფ, ანგ.ანგ№GE21BR0000010805828268 ბანკის კოდი 220101757 საიდენტიფიკაციო კოდი 205224700 მიმღები: სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი(ები)ს მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ქვითრის წარმოდგენლობის შემთხვევაში არ მოხდება სატენდერო წინადადების განხილვა და კონვერტი გაუხსნელად დაუბრუნდება პრეტენდენტს. სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური უნდა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე:

№10591718543, სს ბანკი „რესპუბლიკა“, მიმღები – სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

გადახდის დანიშნულება – სატენდერო საფასური, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამშენებლო – სარემონტო სამუშაოების ტენდერი.

ევროსა და აშშ დოლარში საფასური ჩაირიცხება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ საიტზე (www.spa.ge) მითითებულ ანგარიშზე.

6.1. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთი დახურული კონვერტით ორ ეგზემპლარად – დედანი და ასლი, 2010 წლის 4 აგვისტოს 10.00 საათიდან 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქ.№9 II სართული, ოთახი №215, სატენდერო კომისიის აპარატი.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწევით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2010 წლის 4 აგვისტოს 14 საათზე. **აღტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.**

6.2. ზეპირი ვაჭრობა ჩატარდება – 16 აგვისტოს 16 საათზე შემდეგ მისამართზე: ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქ.№9 IV სართული, საპრეზენტაციო დარბაზი.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

7.1. იურიდიული პირებისათვის:

7.1.1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.

7.1.2. ინფორმაციას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

7.1.3. ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

7.1.4. ცნობას საქალაქო სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

7.2. ფიზიკური პირებისათვის (ი/მ):

7.2.1. ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

7.2.2. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.

7.2.3. ცნობას საქალაქო სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

7.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

7.3.1. ცნობას ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ (საგადასახადო ინსპექციიდან).

7.3.2. ინფორმაცია 2008 და 2009 წლების განმავლობაში განხორციელებული სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების თაობაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს გაფორმებული ხელშეკრულებების ან/და შესაბამისი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში 2010 წლის განმავლობაში სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები.

7.3.3. ინფორმაციას პრეტენდენტის დასახელების, იურიდიული და ფაქტიური მისამართის, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტების, ხელმძღვანელის სახელი, გვარის შესახებ.

შენიშვნა:

- ზემოთ აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც გაცემული (შედგენილი) უნდა იყოს წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში, წარმოდგენილი უნდა იქნას დედნის ან სათანადო წესით დამოწმებული ასლების სახით.
 - საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს შესყიდვის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.
 - არარეზიდენტმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ პრეტენდენტის რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურებიდან, ამასთან ორიგინალ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას მათი ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანი.
8. შერჩევის ეტაპზე შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება განცხადების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემები (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება). დაზუსტებას ასევე არ ექვემდებარება განცხადების მე-10 პუნქტით წარმოსადგენი დოკუმენტი.
9. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
10. სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.
11. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი (ფორმით საბანკო გარანტია), ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
12. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი: გაბუნია მირანდა – იურიდიული სამსახურის უფროსი სპეციალისტის მ.შ., ტელ. 54 14 09, 899 22 22 72. მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქ.№9 II სართული, ოთახი №215, სატენდერო კომისიის აპარატი.

სატენდერო კომისია